

1. დაზღვევის პირობა

- 1.1. „დამზღვევი“ - ნებისმიერი იურიდიული პირი, საკუთრების ფორმის, ქონების და დაქირავებულთა რაოდენობის მიუხედავად.
- 1.2. „მზღვეველი“ - -----

2. დაზღვევის ობიექტი

- 2.1. დაზღვევის ობიექტია დამქირავებლის პასუხისმგებლობა ანაზღაუროს ნორმალურ სამუშაო პროცესში გამოწვეული ზიანი დამდგარი დამზღვევის მიერ დაქირავებული პირის სხეულის ან ჯანმრთელობისათვის.
- 2.2. დამქირავებლის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დაზღვევის პერიოდი და ტერიტორია

- 3.1. თუ დაზღვევის პოლისით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, წინამდებარე დაზღვევით იფარება საქართველოს ტერიტორიაზე დამდგარი შემთხვევები.
- 3.2. თუ სხვა შეთანხმება არ არის მხარეებს შორის, სადაზღვევო პერიოდის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება ერთი კალენდარული წლით. დაზღვევის მაქსიმალური პერიოდი განისაზღვრება მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.
- 3.3. მზღვეველი ანაზღაურებს დამზღვევის მიერ დაქირავებული პირის სხეულის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანს, გამოწვეულს ნორმალური სამუშაო ვალდებულებების შესრულების დროს რაზეც მოხდა შეტყობინება მზღვეველთან წინამდებარე დაზღვევით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში.
- 3.4. წინამდებარე დაზღვევით ასევე იფარება დამქირავებლის პასუხისმგებლობა დაქირავებულთათვის მიყენებულ ზიანზე იმ შემთხვევაზე, რომელიც დადგა დაზღვევის პერიოდის განმავლობაში და დროული შეტყობინება მოხდა მზღვეველთან, მაგრამ დაზიანებებმა (ჯანმრთელობის პრობლემებმა, შრომისუუნარობამ) თავი იჩინა სადაზღვევო პერიოდის გასვლის შემდეგ.

4. სადაზღვევო დაფარვის მოცულობა

- 4.1. პასუხისმგებლობის ლიმიტი (სადაზღვევო თანხა) განისაზღვრება მხარეთა მიერ დაზღვევის პოლისის გაცემისას. ფულადი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წარმოებს დამზღვევის დაზარალებულ დაქირავებულებზე ან მათ კანონიერ მემკვიდრეებზე.
- 4.2. გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა გამოიანგარიშება თითოეულ შემთხვევაზე ინდივიდუალურად დამქირავებლის პასუხისმგებლობის მიხედვით, დაქირავებულისათვის მიყენებულ ზიანზე, დაზღვევის პოლისით დადგენილი ფრანშიზის და სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სარგებლების გამოკლებით.
- 4.3. თითოეულ შემთხვევაზე გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს დაზღვევის პოლისით გათვალისწინებულ ანაზღაურების ლიმიტს თითოეულ შემთხვევაზე. მთლიანი სადაზღვევო ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ მთლიან პასუხისმგებლობის ლიმიტს.
- 4.4. თუ დაზღვევის პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ლიმიტი რამოდენიმე შემთხვევაზე სადაზღვევო წლის განმავლობაში არ გამოიყენება.
- 4.5. ანაზღაურება მოხდება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ფრანშიზა

დამქირავებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

- 5.1. თუ ფრანშიზა (ფიქსირებული თანხა ან პროცენტი), მოცემულია დაზღვევის პოლისში, ანაზღაურება შემცირდება შესაბამისი ოდენობით. ფრანშიზა უპირობოა და გამოიყენება თითოეულ შემთხვევაზე. თუ ფრანშიზა არ არის გათვალისწინებული დაზღვევის პოლისით, მინიმალური ფრანშიზა იქნება მოთხოვნილი თანხის 10%, მაგრამ არანაკლებ 500 აშშ დოლარისა.
- 5.2. რამოდენიმე შემთხვევის დადგომისას ფრანშიზა გამოიყენება თითოეულ შემთხვევაზე.

6. პრემიის გაანგარიშება

- 6.1. პრემიის გამოთვლის საფუძველია საერთო წლიური სახელფასო ფონდი. პრემიის გაანგარიშება და გადახდა ხდება მზღვეველის მიერ დადგენილი ტარიფების და ვადების მიხედვით. დაზღვევის პერიოდის დასრულებისას დამზღვევეს უნდა წარმოადგინოს წლიური სახელფასო ფონდის საბოლოო მონაცემები, რათა საბოლოოდ დადგინდეს პრემია. სხვაობა ან დაუბრუნდება დამზღვევეს (თუ მინიმალური სადეპოზიტო პრემია არ გამოიყენება) ან დამატებით გადახდილი იქნება მზღვეველისათვის. მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, თუ სადაზღვევო პრემია არ არის სრულად გადახდილი. დაზღვევის პოლისით ან მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდის პირობის გათვალისწინებით, დაზღვევა ასევე შესაძლოა გავრცელდეს საზღვარგარეთ მყოფ დამზღვევის დაქირავებულ პირებზეც. ამ შემთხვევაში დაქირავებულთა ხელფასი და სამივლინებო ხარჯები უცხოურ ვალუტაში იქნება მიღებული მხედველობაში.

7. რისკების ჩამონათვალი

- 7.1. დაზღვეული რისკები ითვალისწინებს შემდეგ უბედურ შემთხვევებს: სხეულის დაზიანება, მოწამვლა, სიტუირი დარტყმა, დამწვრობა, სხეულის გაყინვა, ჩადირვა, მეხის დაცემა ან დენის დარტყმა, სიმაღლიდან ჩამოვარდნა, ცხოველებთან შეხების შედეგად მიყენებული ზიანი, განზრახ მკვლელობა, რომელიც შეიძლება ყველა დაქირავებულს დაემართოს:
- 7.1.1. დაქირავებულების მიერ შრომითი ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დროს;
- 7.1.2. კერძო პირების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისას;
- 7.1.3. მოსწავლეთა სწავლის პროცესში.

შემდეგი სამუშაო ვალდებულებების შესრულების დროს:

- 7.1.4. დამქირავებლის შენობებში სამუშაო საათების დროს, ოფიციალური შესვენების ჩათვლით;
- 7.1.5. საქმიანი მოგზაურობის დროს როდესაც დაქირავებული პირი მოქმედებს დამქირავებლის სახელით წინამდებარე დაზღვევით დაფარულ ტერიტორიაზე;
- 7.1.6. საჯარო ტრანსპორტში ყოფნისას ან ფეხით სიარულისას სამუშაო საათების დროს, თუ ეს დაკავშირებულია სამუშაო ვალდებულებების შესრულებასთან; ავტომობილით მოძრაობისას, თუ ამის შესახებ მიღებულია დამქირავებლის ოფიციალური ნებართვა, რათა ავტომობილი გამოყენებული იქნას საქმიანი დანიშნულებით.

8. გამონაკლისები

სადაზღვევო დაფარვა არ ვრცელდება:

- 8.1. სამსახურში ყოფნის დროს ავტომობილით გამოწვეულ უბედურ შემთხვევაზე;
- 8.2. პროფესიული ავადმყოფობით გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე;
- 8.3. დაავადებაზე, რომელიც არ კვალიფიცირდება როგორც პროფესიული დაავადება, მაგრამ გამოწვეულია სამუშაო დროს პროფესიული საშიშროებებით;
- 8.4. დანაკარგზე, რომელიც გამოწვეულია დამზღვევის მიერ კანონით მინიჭებული უფლებების გადაჭარბების შედეგად;
- 8.5. დაქირავებულის პირად ნივთებზე, ფულზე, დოკუმენტაციაზე, ფასიან ქალაქებსზე, ძვირფას ნივთებზე და ტრანსპორტზე;
- 8.6. ბუნებრივ გარდაცვალებაზე, თვითმკვლელობაზე, ან ზიანზე, რომელიც დაზღვეულს მიაღება უკანონო

დამქირავებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

- ქმედებების განხორციელების დროს ან იმ ალკოგოლური, ნარკოტიკული ან მედიკამენტების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს, რომლებიც არ არის დანიშნული ექიმის მიერ.
- 8.7. ზიანზე, რომელიც გამოწვეულია პირდაპირ ან არაპირდაპირ ომით ან საომარი ოპერაციებით, დაპყრობით, მტრული მოქმედებებით, (მნიშვნელობა არა აქვს ომი ოფიციალურად გამოცხადდა თუ არა), სამოქალაქო ომით, აჯანყებით, რევოლუციით, შეპყრობით, გაფიცვით, სამოქალაქო მღველვარებით, კონსპირაციით, საჯარო ან შეიარაღებული ძალით, საომარი მდგომარეობით, ალყის შემორტყმით, ამ სხვა შემთხვევების ან მიზეზების შედეგად, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს საომარი მდგომარეობით, ალყით, კარანტინით, საბაჟო წესებით, ნაციონალიზაციით, სახელმწიფოს ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, რადიოაქტიური მოწამვლის ან ატომური რეაქციის შედეგად ომის ან მშვიდობიანი პერიოდის დროს, მიუხედავად იმისა იყო თუ არა ეს გამოწვეული უბედური შემთხვევით;
- 8.8. ტერორისტული მიზნებისთვის ერთი ან რამდენიმე უცნობი ან ნაცნობი პირ(ებ)ის მიერ მიყენებული სხეულის დაზიანებაზე, მნიშვნელობა არა აქვს არიან თუ არა სუვერენული ძალის წარმომადგენლები.
- 8.9. რადიაციის შედეგად მიყენებულ დაზიანებაზე;
- 8.10. ქონების, სხეულის, ან გონებრივ დაზიანებაზე, ავადმყოფობაზე, ინვალიდობაზე, რომელიც გამოწვეულია აზბესტის ან აზბესტის შემცველი ნივთ(იერებ)ების წარმოებით, მოპოვებით, გამოყენებით, გაყიდვით ან/და დამონტაჟებით.
- 8.11. ფორს-მაჟორული მდგომარეობით გამოწვეულ დაზიანებებზე;
- 8.12. ზიანზე, რომელიც მიადგა დაქირავებულ პირს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით საქმიანობის განხორციელებისას;
- 8.13. სახელმწიფო ან სოციალური დაცვის ორგანოს მიერ დაზღვეულზე დაწესებული წესების დარღვევის გამო დაკისრებულ ჯარიმებზე, ან რეგრესულ საჩივრებზე;
- 8.14. გაუსაძლისობით, შოკით, რასობრივი ან სქესობრივი დისკრიმინაციით, ცილისწამებით, შეურაცყოფით, დისკრედიტაციით ან არასწორი შეწყვეტით გამოწვეულ ზიანზე
- 8.15. მორალური ზიანის მიყენებაზე.

9. სადაზღვევო პოლისის გაფორმება

- 9.1. დაზღვევის პოლისის გაფორმებამდე დამზღვევი ვალდებულია მიაწოდოს მზღვეველს შევსებული დაზღვევის განაცხადი დაქირავებულების რაოდენობის (თანამშრომლები, წევრები, წარმომადგენლები და ა.შ.), დასაქმების მიხედვით სახელფასო ფონდის და ბოლო სამი წლის განმავლობაში სამუშაოზე უბედური შემთხვევის დადგომის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მითითებით. დაზღვევის ამოქმედებას ადასტურებს მზღვეველისა და დამზღვევის მიერ ხელმოწერილი დაზღვევის პოლისის გაცემა. დაზღვევის პოლისის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს წინამდებარე დაზღვევის პირობები, შესაბამისი განაცხადი/ანკეტა და დანართები ხელმოწერილი დამზღვევისა და მზღვეველის მიერ.
- 9.2. მხარეები უფლებამოსილნი არიან ვადის გასვლამდე შეწყვიტონ დაზღვევის პოლისი მეორე მხარისათვის ერთი თვით ადრე ფოსტით (მეორე მხარის ბოლო ცნობილ მისამართზე) ან ფაქსიმილური წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.
- 9.3. თუ დაზღვევის პოლისის შეწყვეტა ხდება მზღვეველის მხრიდან, მზღვეველი დააბრუნებს სადაზღვევო პრემიას გასული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გამოუმუშავებული პრემიის პროპორციულად გამოკლებით. თუ დაზღვევის შეწყვეტა ხდება დამზღვევის მხრიდან, მაშინ დამზღვევისათვის დასაბრუნებელი სადაზღვევო პრემიის გაანგარიშება მოხდება გასული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გამოუმუშავებელ პრემიას გამოკლებული მზღვეველის ნორმალური და ჩვეული ხარჯები დაკავშირებული დაზღვევის პოლისის გაფორმებასთან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დავების გადაჭრის პროცედურა

- 10.1. დაზღვევის პოლისის საფუძველზე შესაძლო საჩივრის გამომწვევი შემთხვევის დადგომისას,

დამქირავებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

დამზღვევმა მზღვეველს უნდა გაუზიაროს წერილობითი შეტყობინება შემთხვევის დაგვარად უმოკლეს ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღისა ასეთი შემთხვევის დადგომიდან. გარდაცვალების შემთხვევაში შეტყობინება გაგზავნილ უნდა იქნას დაუყოვნებლივ.

- 10.2. თუ დამზღვევი არ შეატყობინებს მზღვეველს შემთხვევის დადგომის შესახებ ზემოთხსენებულ ვადებში, მზღვეველი უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება.
- 10.3. დამზღვევმა უნდა წარუდგინოს მზღვეველს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საჭირო დოკუმენტაცია საჩივართან დაკავშირებით.
- 10.4. მზღვეველმა უნდა გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზარალებულ პირზე ან მის კანონიერ მემკვიდრეზე ან უარი განაცხადოს ანაზღაურების გაცემაზე ყველა დოკუმენტის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. თუ ვითარება მოითხოვს, რომ ზიანის ანაზღაურება დაზარალებულ პირზე მოახდინოს უშუალოდ დამზღვევმა, მაშინ მზღვეველი წინამდებარე პირობების შესაბამისად სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემს უშუალოდ დამზღვევზე.

11. მხარეთა ორმხრივი ვალდებულებები

11.1. დამზღვევი ვალდებულია

- 11.1.1. დაიცვას დავების გადაჭრის პროცედურა მე-10 მუხლის შესაბამისად;
- 11.1.2. დაუყოვნებლივ გაუწიოს დაზარალებულს პირველი დახმარება და მიიყვანოს უახლოეს საავადმყოფოში;
- 11.1.3. შეატყობინოს შესაბამის ორგანოებს, მზღვეველის ჩათვლით სამუშაოს დროს შემთხვევის დადგომის შესახებ;
- 11.1.4. გამოძიების მიზნით მოახდინოს ყველანაირი სამხილის შენახვა სამუშაო ტერიტორიაზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება უსაფრთხოების დაცვის ნორმებს;
- 11.1.5. დაეხმაროს მზღვეველის ექსპერტს რადგან მოხდეს შემთხვევის გამომწვევი და თანმხლები გარემოების შესწავლა.
- 11.1.6. მიაწოდოს მზღვეველს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - შეტყობინება შემთხვევის დადგომის შესახებ;
 - მზღვეველის მოთხოვნისამებრ სრული საჩივრის ფორმები;
 - საგამოძიებო კომისიის დასკვნა, თითოეულ დაზარალებულზე შესაბამისი ანგარიშის თანდართვით;
 - სამედიცინო საბუთი, რომელიც აღწერს ზიანის სიდიდეს და სიმძიმეს;
 - ექსპერტის დასკვნა შემთხვევის მიზეზების შესახებ;
 - შეტყობინება ყველანაირ მატერიალურ ზიანზე, ქვითრების და ფინანსური დოკუმენტაციის თანდართვით;
 - შემთხვევის დადგომის დროს დაზარალებული დაქირავებულების თანამდებობის, წლიური ხელფასის და სამუშაო ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტები.

11.1.7. ზემოთხსენებული დოკუმენტები შეიძლება შეიცავდეს, მაგრამ არა მარტო, ნებისმიერი სახის დოკუმენტებს, გადაწყვეტილებებს, ინსტრუქციებს ისეთი ოფიციალური ორგანოებიდან, როგორც შეიძლება იყოს სასამართლო, სამუშაო ზედამხედველი, პროკურატურა, მერია ან სხვა მმართველი ორგანო.

11.1.8. სამედიცინო მომსახურების გამოყენების საჭიროების შემთხვევაში, ჰოსპიტალიზაციის ან/და სამედიცინო ტრანსპორტირების ან/და სამედიცინო ევაკუირების ჩათვლით, დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს როდესაც ხარჯები აღემატება 1000 აშშ დოლარს, და ყველა ესეთი ხარჯი უნდა იყოს გამიზნული, ნორმალური და საჭირო დაქირავებულის ფიზიკური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის. დამზღვევი ვალდებულია დაეხმაროს მზღვეველს ხარჯების შემცირებაში. ზემოთხსენებული პირობის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ასანაზღაურებელი თანხის შემცირება.

11.2. მზღვეველი უფლებამოსილია:

- 11.2.1. მონაწილეობა მიიღოს შემთხვევის გამოძიებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში;
- 11.2.2. სასამართლოში გამოვიდეს დამზღვევის სახელით, მაგრამ ეს სავალდებულო არ არის;

11.2.3. გააგზავნოს თავისი ექსპერტები დაზარალებული პირის შესამოწმებლად.

12. ორმაგი დაზღვევა

12.1. თუ სამუშაოს დროს დამდგარი შემთხვევა დაზღვეულია სხვა სავალდებულო ან ნებაყოფლობითი დაზღვევით, მაშინ თითოეული მზღვეველი ანაზღაურებას ახდენს პასუხისმგებლობის ლიმიტში მისი მონაწილეობის პროპორციულად. თითოეული მზღვეველის წილი ზარალის ოდენობაში განისაზღვრება თითოეული მზღვეველის წილად ხვედრითი სადაზღვევო ლიმიტის ყველა მზღვეველის სრულ სადაზღვევო ლიმიტთან შეფარდებაში.

13. მზღვეველის უფლება გააუქმოს დაზღვევის პოლისი მისი მოქმედების ვადის გასვლამდე.

13.1. ყოველივე ზემოთხსენებული პირობების დამატებით მზღვეველი უფლებამოსილია შეწყვიტოს დაზღვევის პოლისი მისი ვადის გასვლამდე და მოითხოვოს ანაზღაურებული თანხების უკან დაბრუნება თუ:

- 13.1.1. კანონიერი უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შედეგად ერთი და იგივე სახის შემთხვევები ხდება განმეორებით (მინიმუმ 3 ჯერ);
- 13.1.2. დაქირავებულმა შეატყობინა დამზღვევეს/დაზღვეულს შემთხვევის დადგომის შესაძლებლობის შესახებ და არანაირი სიფრთხილის ზომები არ იქნა მიღებული;
- 13.1.3. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სამუშაოზე მომხდარი შემთხვევის მიზეზი იყო უსაფრთხოების ზომების დარღვევა;
- 13.1.4. დამზღვევემ/დაზღვეულმა განზრახ მიაწოდა მზღვეველს მცდარი/ცრუ ინფორმაცია განაცხადის შევსების ან საჩივრის განხილვის დროს.

14. იურისდიქცია

14.1. წინამდებარე დაზღვევასთან დაკავშირებული ყველანაირი სასამართლო პროცესი ჩატარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. დამზღვევის მიერ მოწოდებული ყველა სახის ინფორმაციაზე

- 15.1. წინამდებარე დაზღვევის ძირითადი პირობაა, რომ ყველა სახის ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება გავლენა მოეხდინა რისკის ხარისხის შეფასებაში და გადაწყვეტილების მიღებაში, მათ შორის წინა ზარალების შესახებ (მიუხედავად იმისა, დაზღვეული იყო თუ არა), უნდა იყოს უტყუარი და სრული.
- 15.2. იმ შემთხვევაში თუ დამტკიცდება, რომ დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მზღვეველისათვის მიწოდებული ინფორმაცია არის არასწორი, მაშინ წინამდებარე დაზღვევა შესაძებელია ბათილად ჩაითვალოს.

16. სანქციის პირობა

- 16.1. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს სადაზღვევო დაფარვა, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ზარალის ანაზღაურება ან რაიმე სახის მომსახურების თუ სარგებლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოქმედება მზღვეველის მხრიდან გამოიწვევს იმ სანქციების, აკრძალვების, შეზღუდვების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებიდან, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროში არსებული სანქციებიდან, ევროკავშირის, საქართველოს, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ან შეერთებული შტატების კანონებიდან და რეგულაციებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედება არ არღვევს მზღვეველზე გავრცელებად რეგულაციებს ან შიდა კანონმდებლობას).

დამქირავებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

გავეცანი ----- დამქირავებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობებს,
რასაც ვადასტურებ ხელმოწერით:

დამზღვევი (სახელი, გვარი) -----

დამზღვევის ხელმოწერა -----

თარიღი: